1
1950

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მოგილოცავთ ახალ წელს, ამხანაგებო!




№ 298
30/XII 1950 წ.

— მშვიდობით იყავი!

# ნიანგი

№ 24 თბილისი დეკემბერი 1950 წ. გამომცემლობა „კომუნისტი" წელი XXVII ფასი 2 მან.



ნახ. ა. კანდელაკისა

## მამა სიმღერის გუნებაზეა?

ტრუმენის ქალიშვილი, როგორც ცნობილია, ოცნებობს გახდეს ოპერის მომღერალი. მუსიკის მცოდნე ერთ-ერთმა კრიტიკოსმა მისი პირველი კონცერტი უარყოფითად შეაფასა, ამით გამწყრალმა პრეზიდენტმა ქუჩური გინებით მიმართა მას:

„მე, ეს არის, ახლა წავიკითხე თქვენი ტილიანი რეცენზია დამარხული გაზეთის უკანასკნელ გვერდზე",— სწერს პრეზიდენტი,—„მე ჯერ თქვენ არსად შეგხვედრივართ, მაგრამ თუ შეგხვდით, იცოდეთ, რომ ახალი ცხვირი დაგჭირდებათ და უმი ხორცის ნაგლეჯები!"

საახალწლოდ კი აი, როგორია ამ მოსიყვარულე მამისა და შვილის საუბარი:

**— რა კარგ ხმაზე ვარ, მამიკო, ამ დილით, მომისმინე, ტკბილად გიმღერებ!**

**— დაჩუმდი, ქალო, რა მემღერება, რა ამბებია ჩვენს თავზე, არ გესმის?! შენი ხმა კი არა—ნეტავი მაკარტურის ხმაც არ გამაგონა!**




ნახ. გ. ლომიძისა

მათ ახალი წელიწადი,
ახ, რა ცუდად გაუთენდათ,—
დაკეტილი დახვდათ კარი,
გულმოკლულნი დგანან ერთად

კორეა და ვიეტნამი
ჩინეთივით ლამაზია,
მაგრამ აღარ იყიდება,
აღარ ვაჭრობს მაღაზია!

**დედი-ოდილავაძე**

# მტრის თვალში

თხუთმეტი წელიწადია, რაც შარვლებს ბუხჰალტრის სკამზე ვცვითავ და სამუშაო კაბინეტს იქით ცხვირი არ გამიყვია. პირველად კიდევაც გამეხარდა, როცა უფროსმა ქება მესროლა და მითხრა,—რევიზორ-ბუხჰალტერი გვჭირდება, შენზე პატიოსან კაცს სად ვნახავთ, ახალ თანამდებობაზე უნდა გადაგიყვანოთო,—მაგრამ იმავე დღეს რომ სოფლად მივლინება შემომთავაზეს, არ მეპაშნიკა: ახალწლის გათენება სადღაც შორეულ პროვინციაში, თქვენც დამერწმუნებით, რომ ვერაფერი სახარბიელოა.

უფროსმა სამჯერ გამიმეორა გაკვეთილივით:

— ფრთხილად უნდა იყო, ფრთხილად... დაპატიჟება იციან, პურმარილს ძალად მიგალებინებენ, ხათრის ბადეში გაგხვევენ და ამის შემდეგ, რაღა ფასი აქვს შენს რევიზიას! სოფლად ზოგან სასტუმრო არ გააჩნიათ და მგლის ყნოსვა უნდა გქონდეს, რომ ღამის გასათევად თავმჯდომარისა, ან ბუხჰალტრის ოჯახში არ მოხვდე... ყოველთვის უნდა გახსოვდეს, შენი წინამორბედი რევიზორ-ბუხჰალტერი ხათრისა და პურ-მარილის მსხვერპლი გახდა...

ამ შთაგონებით დავტოვე თბილისი და უფროსის დარიგება ისევ თავში მიტრიალებდა, როცა ჩემი მატარებელი მივლინებით გათვალისწინებულ რაიონის რკინიგზის სადგურს მიადგა. თაგვისფრად იყო შებინდებული. სადგურზე არც ერთი ეტლი არ ჩანდა და ბედად შემორჩენილ მემარხილეს მივმართე...

— არა, გეთაყვა,—მითხრა მან,—მე ტყეში მივდივარ შეშაზე, პანტისკარიდან კი აგერ ის პაბედაა ჩამოსული და იქნებ წაგიყვანოთ...

ელდა მეცა „პობედის" დანახვაზე. „პობედა", თუ მართლაც პანტისკარიდან იყო, კოლმეურნეობის თავმჯდომარის გარდა ვისი იქნებოდა! მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, თხუთმეტ კილომეტრს ფეხით რა გაივლიდა.

— წამიყვანთ პანტისკარში?—ვკითხე შოფერს, შავგვრემან ბიჭს.

მან რიხიანად ამათვალ-ჩამათვალიერა და მომიგო:

— თუ ჩვენი სტუმარი ხართ, რატომაც არა!

— ვისია მანქანა?

— ჩემი.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— ამ წუთში შოფერი გახლავართ... პანტისკარში ვისთან მიბრძანდებით?

— კოლმეურნეობაში მაქვს საქმე... თქვენ თავმჯდომარე ხომ არ იქნებით?

— დაბრძანდით, გზაში გავიცნობთ ერთმანეთს.

მანქანამ ერთი-ორჯერ „დაიოხნა" და ადგილიდან მოწყდა.

—თავმჯდომარისა რა ხართ?—ახლად ჩამოვუგდე საუბარი შოფერს.

— ნათესაობა გაინტერესებთ? პაპაჩემს ბავშვი მოუნათლია იმისი პაპისათვის...—თქვა მან და გაიცინა.

— როგორ მიდის საქმიანობა თქვენს კოლმეურნეობაში?—ვკითხე მცირე დუმილის შემდეგ.

— პაბედასავით!—მომიგო სწრაფად და სვლას უმატა.

ისევ სიჩუმე, კვლავ ვეკითხები:

— სოფელში სასადილო გაქვთ?

— ყოველ ოჯახში...

— ღამის გათევა ვისთან შეიძლება?

— თუ ნათესავი არ გყავთ, პავლე ხატისკაცთან.

— ხატისკაცი ვიღაა?

— სასტუმროს გამგე.

კითხვა—კითხვაზე მივაყარე, მაგრამ მისი პასუხი ყოველთვის ცივი წყლის დასხმა იყო ჩემს ცნობისმოყვარეობაზე.

ამ ლაპარაკში სოფელში შევედით.

— ახალწლის სასტუმროში გათევა უხერხულია, ჩემთან წამობრძანდით.—მომმართა შოფერმა.

ახლა კი საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მახეს მიგებდა, პურ-მარილის ხლართში უნდა გავები. აშკარად ვუთხარი:

— ვერა, გეთაყვა, მე რევიზიაზე ვარ ჩამოსული და უხერხული იქნება, რომ ოჯახებში ვიარო და ქეიფს მოვყვე.

— რევიზორი ბრძანდებით?—მკითხა შოფერმა და გულიანად გადიხარხარა.

— რატომ გაგეცინათ?

— არაფერი... ამას წინათ ჩვენს კოლმეურნეობაში ერთი ახირებული, გამოუცდელი რევიზორი გახლდათ და...

— მერე? რა აიხირა ასეთი?!

— ღორებს სიმინდს რად აჭმევთო, სიმინდი ძვირფასი პროდუქტია, ადამიანსაც არ აწყენსო, ცხელ ჭადსა და ღომს რა ჯობიაო...—ღიმილით გაიხსენა შოფერმა და დაამატა,—დაკვლის წინ, მაშ რით უნდა გაგვესუქებინა ღორები?!

— მერე?

— მერე ინდაურების საკვებზე იკითხა. ღორების მაგალითით შეშინებულებმა ტყუილი ვუთხარით—არაფერს არ ვაჭმევთო. გაბრაზდა, მაშ მაგათზე განკუთვნილი ფული სად მიგაქვთო, შემოგვიტია. მე კი არც ვაციე და არც ვაცხელე—ხელზე ვაძლევთ და საკვებს თვითონ ყიდულობენმეთქი.

ახლა კი საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემი მასპინძელი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე თუ არა, ბუხჰალტერი მაინც უნდა ყოფილიყო. მაგრამ რა იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე!

მანქანა ორსართულიან სახლთან გააჩერა და მომმართა:

— ესეც თქვენი სასტუმრო.—და ახალი ფიცრით გაკეთებულ კიბეზე მიმითითა,—რახან ჩემს ოჯახს არ კადრულობთ, მანდ დაუცადეთ. მე თვითონ ჩავივლი და სასტუმროს გამგეს გამოგიგზავნით.

კიბიდან თოვლი გადავხვეტე, პორტფელი დავიგე და ჩამოვჯექი. ხუთი წუთიც არ იყო გასული, რომ თეთრ თოვლზე შავი ლანდი გამოირკვა და შორიდანვე მომაძახა:

— ვინ ხარ, ძმაო, ადამიანობა არ გწამს? ამაღამდელ ღამეს კაცი სასტუმროში გაათევს?!

— სამსახურია, რას იზამ, მივლინება ამ წლის გეგმაში გვქონდა შეტანილი და...

— მე თქვენს გეგმასთან საქმე არა მაქვს, აბრძანდი...

— გაალე, მოვალ.

— რას ამბობ, ადამიანო, სასტუმროს ახლა რა გამათბობინებს, ისიც ერთი კაცისათვის... სახლში სტუმრები მყავს, სადღეგრძელო შუაზე მივატოვე, ადე, თუ ძმა ხარ!..

— მაშ უკან წავიდე?

— ჩვენს სოფელში უკან არავინ არ მიდის და არც არავის მივცემთ მაგის უფლებას. ჩემთან უნდა წამობრძანდე...

თავში დამკრა და ერთ თვალში თავმჯდომარე გამომესახა, მეორეში კი—ბუხჰალტერი. ძლივს წავიბურტყუნე:

— ჩემი პატივისცემა თუ გინდა, სასტუმროში მიმიღე. ცეცხლის ქანთებაზე არ შეგაწუხებ...

— ცოდოც შენზე იყოს და მადლიც, რა ვქნა...—თქვა მასპინძელმა ყოყმანის შემდეგ და კარი გამიღო.

ოთახში არც ისე ციოდა, მაგრამ ხატისკაცმა მეორე საბანი მაინც მომიტანა და თან სინანული მოაყოლა: ცოდო ხარ, მაგრამ რა გიყოო.

— მეორე საბანი არ მინდა, კანონით რაც გათვალისწინებული არ არის, ვერ მივიღებ.—ვუთხარი ზედმეტი სერიოზულობით.

— შენ, ძმაო, შარზე ხარ? ვინა ხარ?!

— სასადილო თუ გაქვთ სოფელში?

— გვაქვს, როგორ არა გვაქვს...—მომიგო მცირე ყოყმანის შემდეგ,—აქედან გავლისას ვეტყვი და საჭმელს გამოგიგზავნიან.

ფული შევაძლიე, მივუხვდი რომ ტყუილს ამბობდა, ოჯახიდან ფიქრობდა საჭმლის გამოგზავნას.

— მოლარე ავად ყავთ, ფულს ახლა არ ღებულობენ.—სიცილით მომიგო.

— მაშ არაფერი მინდა, დავიძინებ...—ვუთხარი და ძილის თადარიგს შევუდექი.

ხატისკაცი წავიდა. ერთი საბანი დავიხურე და მეორე კი შესასვლელში გადავკიდე, რათა მასპინძელს დილით თავისი თვალით ენახა—ვიხმარე თუ არა.

ბურანში წასვლაც ვერ მოვასწარი, რომ კარებთან ზურნის ჰყიპინი და დოლის ბრაგა-ბრუგი მომესმა. ვიღაცამ ხმამაღლა დაიწყო:

— ეს იმ კაცს გაუმარჯოს, რომელმაც ხალხად არ ჩაგვაგდო, არ გვიკადრა და ხვალ კი ვანანებთ.

— გაუმარჯოს, მაგრამ სადაც ჩვენი უპურმარილობა თქვას, იქ თავისი უკადრისობაც გაიხსენოს...

გავტვრინდი. მიძახეს, მიწვევდნენ, მაგრამ შევეჯექი უფროსის ნაჩუქარ დევიზზე, რევიზორის პირველი დამლუპველი—პატივისცემააო, და არ გამოვეხმაურე. გაშლილი ხათრის ბადე ისევ დაკეცეს და გზას გაუდგნენ. მათი საქციელი თანდათან უფრო მარწმუნებდა, რომ კოლმეურნეობაში კარგად ვერ ჰქონდათ საქმე.

სიმშილ-კანკალით გავათიე ის ღამე. გათენებისას სიცივემ ისე მომიჭირა, ციებიანივით კბილი-კბილს მაცემინა, მაგრამ ის გრძნობა მათბობდა, რომ პატიოსნება ბაწრით მყავდა დაბმული.

ახალწელს დასვენებააო მითხრეს. ამ დღეს არ ჩავატარე რევიზია. კვლავ ბევრი მპატიჟეს, არავისთან წავედი, კოოპერატივი გავაღებინე, კანფეტები ვიყიდე და იმ დღეს იმაზე გადავიარე...

მეორე დღეს კი... ამბავს აქ დავამთავრებდი კოლმეურნეობის კანტორაში რომ ყველაფერი თავის ადგილზე არ ყოფილიყო დაწყობილდალაგებული. ქაღალდებში დახელოვნებულ მონადირესავით ვეძებდი სიყალბეს, მაგრამ მათი ბუხჰალტერია კარგი კორექტორის მიერ გასწორებულ წიგნს ჰგავდა და დილიდან საღამომდე თავჩაქინდრული ვმუშაობდი. დაბადებიდან დღემდე რაც სირცხვილი მიჭამია, რომ ამეწონა, ამ დღის სირცხვილთან შედარებით სასწორზე დასადებად არც კი ელირებოდა.

გამომგზავრებისას „პობედასთან" თავმჯდომარე მოვიდა, ხილით სავსე კალათა შემოდგა, „მიირთვით, თვითდასჯილოო"—ხუმრობით მომმართა და მაგრად ჩამომართვა ხელი.

— უხერხულია...—წავიბურტყუნე და კალათს ხელი ვკარი.

— უხერხულობა მხოლოდ იქ შეიძლება წარმოიშვას, სადაც დოვლათს უპატიოსნება ქმნის. ჩვენ კი სინდისისა და ძალღონის გარდა, სხვა არაფერი დაგვიხარჯავს...—თქვა მან და მის მოღიმარ სახეს უკვე დაძრულ მანქანიდან მოვკარი თვალი...

**გ. ივანიშვილი**



მეგობრული შარჟი დონისა

## გიორგი ლეონიძე გასულ წელს

**მოსკოვი.** ამ დღეებში მოსკოვს ჩამოფრინდა გიორგი ლეონიძე.

**კიევი.** გიორგი ლეონიძე უკრაინელ მწერლებს შორის.

**პრაღა.** გიორგი ლეონიძის მოხსენება ქართულ კულტურაზე.

**ლაიპციგი, დრეზდენი, ერფურტი.** — გავლით გიორგი ლეონიძე.

**ბუდაპეშტი.** გიორგი ლეონიძე მიტინგზე.

**ბუქარესტი.** გიორგი ლეონიძე ბესიკის საფლავთან. ანთიმოზ ივერიელის აღმოჩენა.

**ბერლინი.** გიორგი ლეონიძე გერმანელ მწერალთა პირველ კონგრესზე.

**ვარშავა.** პოლონეთის ქალაქებზე გავლით გიორგი ლეონიძე ბრუნდება სამშობლოში.

გაზეთებიდან

**—ძვირფასო გიორგი, ნიანგი გისურვებთ მომავალ წელს მაინც გაატაროთ ერთი-ორი დღე თქვენს პატარა სამშობლო საქართველოში.**




ნახ. გ. ლომიძისა

ჩვენ გვახარებს „მაღლა ციდან“ ახალი წლის გადმოფრენა,
მაშინ, როცა ამერიკის ცაზე ომის კვამლით ბნელა!

თავის დღეებს, ამერიკა, ასაჩუქრებს ყუმბარებით,—
წელიწადი გაუთენდათ ტირილით და მწუხარებით!

ხოლო ჩვენში—ახალი წლის გუნდი ღხენით შემოფრინდა,—
ჩვენ სიცოცხლის, სიხარულის და სიმშვიდის დიდა გვინდა!

# მ ა ფ რ ე ნ ე ბ ი

დილაადრიან ვაშინგტონის აეროდრომიდან აფრინდა ჰარი ტრუმენი. იფრინა, იფრინა, იფრინა და დაფრინდა პატარა კუნძულ უეიკზე. გზაში ცუდად გრძნობდა ჰარი თავს, დაიქანცა გული მისდიოდა, საცოდავად აფახულებდა ჭროლა თვალებს, მაგრამ თანმხლებთა ლოცვა-კურთხევით მაინც მშვიდობიანად მოაღწია უეიკამდე. აქ მას დახვდა კორეიდან ჩამოფრენილი მაკარტური. დიდად გაიხარეს ერთმანეთის ხილვით. ერთმანეთს გადაეხვია ორი ყიამყრალი.

მერე ბჭობად დასხდნენ:

—აი, ძვირფასო ჰარი,—ალაპარაკდა გენერალი. სულ ეს გახლავთ კორეა! რაღაც ორიოდე პროვინციაა დარჩენილი კომუნისტების ხელში! მთელი არმია ჩრდილო კორეელებისა ბოთლში... დიახ, დიახ, ჭეშმარიტად ბოთლში მყავს მომწყვდეული და ბოთლის თავი ამერიკული საცობით მაგრადაა დახურული! კიმ ირ-სენის არმია რამდენიმე დღეში ამოიგუდება ამ ბოთლში და, თუ მოიცდით სწორედ აქვე, ამ კუნძულზე მოგართმევთ ამ ბოთლს.

—არა, ეს ბოთლი ვაშინგტონში გამომიგზავნეთ,—უთხრა გენერალს ჰარიმ, უბრძანა მალე გასულიყო კორეა-ჩინეთის საზღვარზე და იქ დაეცადა პრეზიდენტის შემდეგი ბრძანებისათვის.

დარჩენაზე კი უარი განაცხადა, ცოლის ავადმყოფობა მოიმიზეზა და სასწრაფოდ დატოვა კუნძული; იფრინა, იფრინა, იფრინა და ისევ ვაშინგტონში მოფრინდა.

(დაგვავიწყდა გვეთქვა: კუნძულ უეიკზე ბჭობის შემდეგ გამართულ ნადიმზე პრეზიდენტს ფრიად მოეწონა უეიკური მწყერი, ამის გამო მაკარტურმა მწყრებით სავსე გალია გამოატანა ვაშინგტონში, თითქოს და უამისოდ მწყერთა ნაკლებობას განიცდიდეს ჰარი!)

მეორე დღეს გვიან ადგა პრეზიდენტი. თავის ტკივილმა მოუარა, ჭრელი ცხვირსახოცით მაგრად შეიხვია შუბლი, ილოცა და უხასიათობის გასაფანტავად სასწრაფოდ მოიწვია მინისტრების თათბირი.

სწორედ ამ დროს არასასიამოვნო ცნობა მოფრინდა ვაშინგტონში: მაკარტურის შტაბი იუწყებოდა ჩრდილო კორეელთა და ჩინელ მოხალისეთა უეცარი შემოტევის ამბავს... კიმ ირ-სენის ას ორმოცდაათ ათასიან არმიას, რომელიც „ბოთლში იყო მომწყვდეული“, თავი მოუმტვრევიათ (?) თურმე, ახლა ისევ „გაცოცხლებულა“ და ნიაღვრად მოსდებია ამერიკელთა მიერ ოკუპირებულ ქალაქებსა და სოფლებს!.. სირცხვილი გვაჭამეს თურქმა ჯარისკაცებმა: თუ ადრე, წინ მიმავალ ამერიკულ დივიზიებს უკან ალლაჰ, ვალლაჰ, ილლაჰის ძახილით მიჰყვებოდნენ, ახლა სულ ვაი-ვუის ძახილით იხევდნენ უკან, მაგრამ ჩინელებმა და კორეელებმა მოიმწყვდიეს და დედა-ბუძიანად მოსპეს... დავტოვეთ ფხენიანი... ვიხევთ სეულისაკენ.

ამ ამბავმა გადაუფრინა ავსტრალიას, თურქეთს, საფრანგეთს, ინგლისს და დაიწყო ახალი მიმოფრენები, მაგრამ ყველაზე ადრე სტარტი აიღო საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა პლევენმა. მან, როგორც გაფრენების დიდი ოსტატი, თან გაიყოლია საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, გერმანელი რობერ შუმანი, გადაუფრინა ლამანშს და მოულოდნელად ეწვია ლონდონს. როცა პლევენმა და შუმანმა პარლამენტის საპარადო კარები შეაღეს, მათ თვალი მოჰკრეს ეტლის, რომელიც კისრისტეხით ჩამორბოდა კიბეზე. ინგლისის პრემიერმა ინგლისური მოხერხებულობით დამალა მოულოდნელი სტუმრების გამოჩენით გამოწვეული გაოცება, ღიმილით მიესალმა, პლევენს მხარზედაც კი მოუთათუნა ხელი და მოუბოდიშა—დიდად ვწუხვარ, რომ მასპინძლობას ვერ გაგიწევთ, თვითმფრინავი მზადა მყავს, ვაშინგტონს მივფრინავ სასწრაფოდო. არც პლევენმა შეიმჩნია უხერხულობა, საპასუხოდ მოუთათუნა ხელი მხარზე და მცირე ხნის შემდეგ ორი თვითმფრინავი აფრინდა ლონდონის აეროდრომიდან. ერთმა მათგანმა სწრაფად გადმოიფრინა ლამანში და პარიზს ჩამოაფრინა ეტლთან ნავიზიტარი პლევენი და შუმანი, მეორე თვითმფრინავმა იფრინა, იფრინა, გადაუფრინა ატლანტის ოკეანეს და ტრუმენს აწვია ეტლი.

ჰარი ტრუმენმა დიდის მოწონებით მიიღო „სასურველი სტუმარი“, მართალია ჯერ კიდევ აწუხებდა შორეულ კუნძულზე მოგზაურობით გამოწვეული დაღლილობა, მაგრამ თავი მოიყოჩაღა, ძაბუნად არ ეჩვენა მოქიშპეს, შუა დარბაზში გამოეგება და პირდაპირ სასადილო ოთახში შეიყვანა.—დაღლილი და ცოტა მოშიებულიც იქნებით, დაისვენეთ და თანაც დავნაყრდეთო.

... ეტლიმ იცოდა, რომ ტრუმენს გაგიჟებით უყვარს ბედისწერა, მარჩიელობა და ზღაპრები და როგორც დრო იხელთა, ერთ ჩინურ ზღაპარს მოჰყვა:

ძველ დროში ერთ ჩინელ დედაკაცს სამი ვაჟი ჰყავდა—მუ როსი, მუ შუათანა და მუ უმცროსი. უფროსს შეეძლო ზღვა დაელია, შუათანა ცეცხლში არ იწვოდა, უმცროსს კი ყველა ნადირისა და ფრინველის ენა ესმოდა. ხალხს საჭმელი არ ჰქონდა დედამ იხმო შვილები და გადაწყვიტეს: მუ უფროსი წავიდოდა ზღვას დალევდა, ზღვის ფსკერზე დარჩენილ თევზებს ხალხი ამოჰკრეფდა, მუ შუათანა ტყეში წავიდოდა და გააჩაღებდა ცეცხლს, რომ თევზები შეეწვათ და მოეხარშათ, ხოლო მუ უმცროსი ტყეში წავიდოდა ნადირებისა და ფრინველების გასაფრთხილებლად ხანძარში არ დაღუპულიყვნენ... სწორედ ამ დროს ტყეში სანადიროდ წამოსულიყო მანდარინი...

მაგრამ დახეთ საოცრებას, ყველა ნადირი და ფრინველი გაქრეულიყო ტყიდან. მანდარინმა გაიგო, რომ ამის მიზეზი მუ უმცროსი იყო. შეიპყრო და ბრძანა შინდამწყვდეული ვეფხვისათვის მიეგდოთ თვითონ სტუმრებიანად სასეიროდ დაჯდა. დარაჯებმა შეხსნეს ვეფხვის სადგომის რკინის კარი და მუ უმცროსი შიგ შეაგდეს. ის იყო ვეფხვს კამარა უნდა შეეკრა, მაგრამ მუ უმცროსი გამოელაპარაკა და ნადირი დაცხრა. ქედმოხრილმა უთხრა: შენ ვეფხვზე ძლიერი ყოფილხარ, რადგან ვეფხვის ენა იცი, მე კი ადამიანის ენა არ ვიციო. გაოცდა მანდარინი. ბრძანა იმავე დღესვე ქალაქის მოედანზე ცეცხლში დაეწვათ მუ უმცროსი. როცა დარაჯებმა ისევ გახსნეს კარი, მაშინ მუ უმცროსმა ყურში უჩურჩულა ვეფხვს, ვეფხვმა მუს ქუდი გაიტაცა და გავარდა. ამრიგად ვერც ხანძარში დაწვეს მუ უმცროსი, რადგან ძმები ერთმანეთს გვანდნენ და უმცროსს შუათანა შეენაცვლა, მაშინ სიგიჟისკარამდე მისულმა მანდარინმა ბრძანა მეორე დღეს ზღვაში დაეხრჩოთ ჭაბუკი. იმ ღამეს უფროსი ძმა შეენაცვლა შუათანას. გემს, რომელსაც ჭაბუკი მიჰყავდა შუაგულ ზღვაში დასახრჩობად, მანდარინიც თან გაჰყვა. შუაგულ ზღვაში რომ მივიდნენ, ჭაბუკს დიდი ქვა ჩამოჰკიდეს და გემიდან გადაისროლეს და აი, ისევ სასწაული: ჭაბუკმა დალია ზღვა, გემი ზღვის ფსკერზე გაიხირა, ჩინელი ჭაბუკი გამოვიდა ნაპირზე, ზღვა ისევ გადმოანთხია, და ამოიხრჩო მანდარინი სტუმრებიანად...

ტრუმენიც მართლაც გიჟივით მისჩერებოდა ერთ წერტილს. არ ესიამოვნა ჩინური ზღაპარი. უხალისოდ წამოდგა. ეტლის თვალში გაუყარა თვალი და შიშდაკრული ხმით უთხრა:

—ჩინეთში დიდი ხანძარი გავაჩაღეთ და ჩინეთი არ დაიწვა, კორეას შევუსიეთ ნადირები და ჩვენი ნადირები შინაურ კატებივით დამორჩილდნენ მათ. ვაითუ... ახლო ხანში ზღვის დალევა მოიწადინოს ჩინეთმა!

ხმა არ გაუცია სტუმრისათვის. მოქამული გამოვიდა საძილე ოთახში; მაკარტურის მიერ გამოტანებულ გალიაში რამდენიმე მწყერი ფართხალებდა. გალიასთან მივიდა, კარი გააღო, შეუქშია მწყრებს და გააფრინა...

**ა. თარიშვილი**

## ამერიკული ინდაურის საუბარი

თეთრ სახლში საახალწლო მიღება დაიწყო. დიპლომატიური ეტიკეტია: სახელმწიფოს მეთაური მილოცვებს ღებულობს. სტუმრები მლიქვნელური ქათინაურებით იწყებენ ვიზიტს. მისტერ ტრუმენს ყური უკვე შეჩვეული აქვს: მარშალიზებული ქვეყნების წარმომადგენლები ხოტბას ასხამენ მის სამხედრო ნიჭს, შორსმჭვრეტელ პოლიტიკას!

ასე იყო მუდამ, ასე იყო შარშანაც, განსაკუთრებით თურქეთის წარმომადგენელი უყრიდა მეტმიას, ერთგულებას ეფიცებოდა, ყველაფერში „ბალი-ალას“ ეუბნებოდა.

სწორედ ამან აუჩუყა გული შარშან და თურქეთის პრეზიდენტს ისმეთ ინენიუს კარგად გასუქებული ინდაური გაუგზავნა საჩუქრად.

წელსაც დიდ იმედებს ამყარებდა მისტერ ჰარი თურქეთის რწმუნებულზე.

ამიტომაც იყო, რომ ინგლისის ელჩის შემდეგ, თურქეთის წარმომადგენელს გაუღეს კარი. მას პრეზიდენტი გაჭიმული ღიმილით შეეგება, ფეხზე აუდგა და ხელი გაუწოდა.

— თქვენც მოგილოცავთ, მისტერ ოსმან ოღლუ, როგორ გიკითხოთ?

ოსმან ოღლუ თუმცა გაიძვერა იყო, გულისწყრომა მაინც ვერ დამალა:

— გული მტკივა, ტრუმენ ეფენდი, ძალიან მტკივა! ჩვენს პრეზიდენტსაც სტკივა, ყველას გვტკივა! ვალლაჰ, ძალიან გვტკივა!

— ძლიერ სამწუხაროა, მაგრამ რა მიზეზია, რომ ყველას ერთად აგტკივნიათ გული?

—აგვტკივდებოდა, მაშ რა ალლახი გაგვიწყრებოდა, როცა ერთ ინდაურში მთელი ბრიგადა წაგვართვით?

— ესე იგი, როგორ გავიგოთ თქვენი სიტყვები?

— სულ უბრალოდ, ტრუმენ ეფენდი, სულ უბრალოდ: წაიყვანეთ თქვენი ინდაური და დაგვიბრუნეთ ჩვენი ბრიგადა!

— რას ბრძანებთ, მისტერ? საიდან დაგიბრუნოთ, როცა თქვენი ბრიგადა მთლად გაჟლიტეს კორეელებმა?

— ღმერთი არ არის, ტრუმენ ეფენდი? ეგ ხომ მოტყუებაა: ერთ ინდაურში—ხუთი ათასი თურქი? ეს როგორ, შეიძლება!

— რას იზამ, ჩემო კარგო! თქვენ ხომ გამონაკლისი არა ხართ? ასევე გაჟლიტეს იაპონელებიც, ფრანგებიც, ინგლისელებიც და ჩვენებიც. თქვენ ინდაური მაინც მიიღეთ. იმათ კი—ჩვენი ცნობილი კვერცხის ფხვნილისა და სალეჰიპრეზინის სამაგიეროდ გამოგვიგზავნეს დივიზიები. მაგრამ დავივიწყოთ ეს წყენა. გადაეცით თქვენს პრეზიდენტს, რომ ჩვენმა სენატმა გადასწყვიტა გამოუგზავნოს მას დამატებით კიდევ ერთი ინდაური და ერთიც ჰუკი.

ამ სიტყვებზე ოსმან ოღლუს ისტერიკა დაემართა, გაფითრდა და აყვირდა:

— არა, არა, ვალლა, არ გვინდა. ახლა მაგ ჰუკში მოგვთხოვთ საზარბაზნე ხორცს. არა, არ გვინდა!..—და შეშლილივით გავარდა.

ტრუმენმა ზარი დარეკა და შემოსულ მდივანს მიმართა:

— შეაჩერეთ საახალწლო ვიზიტები და მოსულებს გამოუცხადეთ, რომ შარშანდელ დანაშაულზე წელს ამერიკა პასუხს არ აგებს.



# საახალწლო

ნახ. ი. ქოქიაშვილისა



ახალწლის წინადღეები კახეთში ერთი ორომტრიალით იწყება. უბანში ეზო არ არის, რომ ქოსმენი-ღორი არ წამოაქციონ. გაიხედავ—აქეთ ღორი იფუფქება, იქით ღორი იკვლის. იმას იქით ისევ ღორს იჭერენ და მისი ჭყვირილი იკლებს ქვეყანას.

იმათ კი, ვინც „საქმე წინ წაიგდო“ და უფრო ადრე „აქნა“ ნეზვი, უკვე ქვევრები აუხდიათ, თონიდან ამომავალ ლავაშისა და ნაზუქის სუნს მწვადების შიშხინი უერთდება. ჯაფა ადგიათ შამფურებსა და გაქონილ ჯამებს, მარნის კარი ჭრიალებს, მრავალჟამიერი და „შაშვი-კაკაბი“ ღუღუნებს.

რატომაც არა? უხვი საკოლმეურნეო მოსავალი ახლახან განაწილდა. ღვინო გადაიღეს, ყველის გუდები წალოებში გამწკრივდა; საშემოდგომო თესვა წარმატებით მოთავდა. ახალი წელი მოდის, მხიარულად და უხვად უნდა შეეგებონ; რომ მომავალი წლის შრომას კიდევ უფრო მეტი ხვავი და ბარაქა მიეცეს.

შეარგოთ ალალი შრომის ნაყოფი!

ამ დღეებში ჩვენს ჩიტკორესპონდენტთან ერთად კახეთში მოგვიხდა გავლა. ისეთ უბანში მოვხვდით, სადაც საახალწლოდ ზემოაღწერილი მზადების ფუსფუსში გართულ კოლმეურნეების საინტერესო დიალოგს წავესწარით:

— ბასავ, შენც დაჰკალ? რას იტყვი, ე, თქვენი ქოსმენი არც თუ ისე დიდი გამოვიდა, ჰა?

— შენ ეგა თქვი და!.. ინთილა იკრა ამ ტიალმა: ოცდაოთხი ფუთი სიმინდი შევაჭამე და თვითონ კი ოთხი ფუთი ძუზიც გამოვიდა!

— ი, ჩვენებიანთ გაბრიელივით მოსვლია მაგასაცა!

— რომელ გაბრიელზე ამბობ?

— აი, ჩვენი სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ რო იყო და ამას წინათ რო გადავირჩიეთ!

— ჰო; მენიშნა, მენიშნა.

—ჰოდა, იმანაც ეგრე ჭამა ქოსმენივითა: სანამ გავუგებდით, გვეგონა რომ წონა ჰქონდა, მაგრამ ი რევიზია რო გავუკეთეთ და უცებ რო გადავირჩიეთ კიდეცა, მაგ შენი ქოსმენივით დაპატარავდა.

— დაპატარავება მაშინ ნახე; ი პროკურორი რო გადმოულაგებს მუხლებსა!

— მაინც ძაან ცდილობდა. საბჭოების არჩევნებამდე უნდოდა დარჩენილიყო, მაგრამ ვინ დააცალა?

— საკვირველებასა ვარ პირდაპირა: ე ყველგან სამაგალითო საბჭოს თავმჯდომარეები გვყავ, რაღა მაინცდამაინც ჩვენი თავმჯდომარე გამოდგა ეგეთი?

— რას იზამ! ოჯახში ერთი მახინჯი გამოერევაო—ნათქვამია. ახლა ხომ კარგი და ღირსეული თავმჯდომარე ავირჩიეთ. მეტი რა გინდა?

— მაგისი სიცოცხლე და კარგი მუშაობა, აბა სხვა რა უნდა მინდოდეს!

— ჰოდა, ერთი მაგისი სადღეგრძელოც დავლიოთ!

— დავლევთ, მაშა! ხვავიანი მუშაობა ხომ უნდა ვუსურვოთ?

ამ დიალოგის ბოლო ასე წარმოვიდგინეთ:

მარანი იღება, სუფრაზე სველი ხელადები მწკრივდება.

ახალი წელი მოვიდა. მხიარულად ხვდება მას ბედნიერი საკოლმეურნეო სოფელი.

მრავალჟამიერ!

ფარსადანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ა. ბანძელაძისა

## ჩამორჩენილ წარმოების დირექტორთან




— ამხანაგო დირექტორო, ახალ წელს უნდა თქვენთან შემოსვლა.
— არა, არ დამკლათ, არ შემოუშვათ, წესრიგი დაიცავით! ჯერ ხომ ხედავთ ეს პატივცემული მოხუცი არ გამისტუმრებია!..

## ქარაგმული ნაკვესები

- კოლმეურნეობის ფარეხში შეპარული მგელი ანდაზის მიხედვით დაეძებდა—თხა თხაზე ნაკლები რომელიაო, და მშიერი დარჩა.
- ქმარი გრძლად ლაპარაკობდა ხელმოკლეობაზე, ცოლმა კი მოკლედ მოსჭრა გრძელი კაბის შესახებ.
- წერტის გამგემ წყალივით იცოდა მეღვინეობის საქმე.
- ახლად ნაყიდ კოსტიუმს ღილები წყდებოდა და მომხმარებელს—გულიო.
- რევიზორ-ბუხჰალტერს ჰკითხეს:—რაიონებში წასვლა თუ გიხდებაო?— ძალიან მიხდებაო!—გულახდილი ღიმილით უპასუხა რევიზორმა.

**ედიშერ ყიფიანი, გიორგი შალამბერიძე**



— მიყიდე! დედიკო, მიყიდე!
— რა, რა გიყიდო, შვილო?
— შენ რომ ამბობდი, ქალაქში თოვლის ბაბუა არ იშოვებაო, აგერ, ხომ ხედავ, რა კარგი თოვლის ბაბუაა... მიყიდე!

## ი. იმედაშვილის გამოჩენა ქალაქში

მეგობრული შარჟი დონისა



რედაქტორი კარლო კალაძე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги". რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1950 წ. 21/XII. სტამბა „ზარია ვოსტოკა" რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 2975. გამოც. № 126. ტირ. 11.000. უე17968

ეროვნული ბიბლიოთეკა




# საბოლოო სიტყვა

—ამხანაგებო, მე ვამთავრებ ჩემს სიტყვას. როგორც მოგახსენეთ, სამუშაოდ მოცემული მქონდა ხულ 365 დღე, მრავალ ათას ჩემს სტახანოველს-კი—700-900 შრომადღე აქვს ამ წელს გამომუშავებული. ვიბრძოდით ჩვენი ქვეყნის აყვავებისათვის, ვაშენებდით ჩვენს სოფლებსა და ქალაქებს. და, თუ მაინც ახალ წელს ხარაჩოებამართულნი დავხვდით,—იმედი მაქვს, იგი უფრო მეტს შექმნის ხალხის საკეთილდღეოდ...

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის მომავალს!

გაუმარჯოს ახალ წელს! (ტაში. ყველანი ფეხზე ადგომით ხვდებიან ახალი წლის გამოჩენას. ისმის კრემლის საათის რეკვა. ისმის მრავალჟამიერი).

(ათას ცხრაას ორმოცდაათი წლის საანგარიშო მოხსენების სტენოგრამიდან.)